

**სააქციო
საზოგადოება ხალიკ
ბანკი საქართველო**

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებას	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7-8
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები	9-69

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესაღარი და გასაგები ინფორმაციას არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2015 წლის 6 მარტს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გეგუჩიაძე

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
გულნარა მარშანიშვილი

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

ღამოუპიღებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველოს („ბანკი“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	6, 26	13,668	9,199
საპროცენტო ხარჯი	6, 26	(4,636)	(3,256)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე/ხარჯის აღდგენამდე		9,032	5,943
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯის აღდგენა/ ხარჯი	7	(1,018)	86
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		8,014	6,029
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	8	550	332
საკომისიო შემოსავლები	9	303	238
საკომისიო ხარჯები	9	(164)	(144)
ანარიცხების (ხარჯი)/ხარჯის აღდგენა სხვა ოპერაციებზე	22	(3)	12
სხვა შემოსავლები		6	2
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		692	440
საოპერაციო შემოსავალი		8,706	6,469
საოპერაციო ხარჯები	10, 26	(6,145)	(4,765)
მოგება მოგების გადასახადამდე		2,561	1,704
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(404)	(242)
პერიოდის მოგება		2,157	1,462
სხვა სრული შემოსავალი			-
მუხლები, რომლებიც შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება			
მოგება ქონების გადაფასებიდან	17	247	-
მოგების გადასახადი	11	(37)	-
სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის შემდეგ		210	-
სულ სრული შემოსავალი		2,367	1,462

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გეგუჩაძე

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
გულნარა მარშანიშვილი

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

9-69 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013	1 იანვარი, 2013
აქტივები:				
ფული და ფულის ექვივალენტები	12, 26	27,757	24,987	3,684
მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში		5,691	2,060	1,192
მოთხოვნები ბანკების მიმართ	13	186	48	4,981
კლიენტებზე გაცემული სესხები	14, 26	120,354	81,532	44,966
გასაყიდად არსებული ინვესტიციები	15	54	54	54
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	16	15,864	6,352	6,379
ძირითადი საშუალებები	17	9,112	7,923	7,869
გადავადებული სავადასახადო აქტივები	11	127	568	810
არამატერიალური აქტივები	18	1,400	1,185	1,274
სხვა აქტივები	19	281	143	77
სულ აქტივები		180,826	124,852	71,286
ვალდებულებები:				
ბანკების დეპოზიტები	20, 26	69,238	51,148	22,183
კლიენტების დეპოზიტები	21, 26	47,780	13,747	8,325
სხვა ვალდებულებები	22	582	376	458
სუბორდინირებული სესხი	23	18,712	17,434	16,635
სულ ვალდებულებები		136,312	82,705	47,601
კაპიტალი:				
სააქციო კაპიტალი	24	48,000	48,000	31,000
გადაფასების რეზერვი		209	-	-
დაგროვილი ზარალი		(3,695)	(5,853)	(7,315)
სულ კაპიტალი		44,514	42,147	23,685
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		180,826	124,852	71,286

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გეგუშიაძე

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
გულნარა მარშანიშვილი

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

9-69 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2013		31,000	-	(7,315)	23,685
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	23	17,000	-	-	17,000
წლის მოგება		-	-	1,462	1,462
31 დეკემბერი, 2013		48,000	-	(5,853)	42,147
წლის მოგება		-	-	2,157	2,157
სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის შემდეგ		-	210	-	210
გადაფასების რეზერვის გადატანა აქტივების ცვეთის შედეგად		-	(1)	1	-
31 დეკემბერი, 2014		48,000	209	(3,695)	44,514

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გეგუშიაძე

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
გულნარა მარშანიშვილი

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

9-69 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ- ლი წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებუ- ლი წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება მოგების გადასახადამდე		2,561	1,704
არაფულადი ერთეულების კორექტირება:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვი/(რეზერვის აღდგენა) საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	7	1,018	(86)
ანარიცხები/(ანარიცხების აღდგენა) სხვა ოპერაციებზე	22	3	(12)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული (მოგება)/ზარალი	8	(15)	19
ცვეთა და ამორტიზაცია	10	501	448
ცვლილება საპროცენტო დარიცხვაში, წმინდა		(240)	113
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		3,828	2,186
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება			
მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში		(3,598)	(832)
მოთხოვნები ბანკების მიმართ		(138)	4,936
კლიენტებზე გაცემული სესხები		(38,929)	(35,069)
სხვა აქტივები		(137)	(65)
კლიენტების დეპოზიტები		33,761	5,009
ბანკების დეპოზიტები		18,568	28,547
სხვა ვალდებულებები		203	(70)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		13,558	4,642
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,337)	(392)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		12	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(334)	(23)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების შესყიდვა		(9,169)	-
ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(10,828)	(415)

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ბაზრქველბა)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულბულთ წლისათვის
(ათასობით ლარში)**

	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულბულთ წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულბულთ წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან:			
ჩვეულებრივი აქციების გამოსეება	23	-	17,000
ფულადი სახსრების წმინდა შემოღინება ფინანსური საქმიანობიდან		-	17,000
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთზე		40	76
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		2,770	21,303
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისი	12	24,987	3,684
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს	12	27,757	24,987

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულბული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღბულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 2,824 ათასი და 8,874 ათასი ლარი. 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულბული წლის განმავლობაში ბანკის მიერ გადახდილმა და მიღბულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 4,160 ათასი და 12,832 ათასი ლარი.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
ნიკოლოზ გეგუნიძე

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
გულნარა მარშანიშვილი

2015 წლის 6 მარტი
თბილისი, საქართველო

9-69 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

1. ორბანიზაცია

ხალიკ ბანკი საქართველო („ბანკი“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია 2008 წლის 29 იანვარს. ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“). ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საბანკო საქმიანობის №0110246 გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომერციული საქმიანობა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით ვაჭრობა, სესხების და გარანტიების გაცემა და დეპოზიტების მოზიდვა.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, კოსტავას ქუჩა №74.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს შესაბამისად გააჩნდა ხუთი და ოთხი ფილიალი საქართველოში.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერს წარმოადგენდა:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
პირველი დონის აქციონერი:		
სს ხალიკ ბანკი	100%	100%
სულ	100%	100%

სს ხალიკ ბანკის ძირითადი აქციონერები არიან სს ჰოლდინგი ალმექსი და სს აკუმულირებული საპენსიო ფონდი. სს ხალიკ ბანკის საბოლოო მფლობელებს წარმოადგენენ ტიმურ კულიბაიევი და დინარა კულიბაიევა.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულ იქნა გამოსაშვებად 2015 წლის 6 მარტს ღირეკტორთა საბჭოს მიერ.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს მუშაობას.

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ ზოგიერთი ქონებისა, რომელიც აისახება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს გადაფასებული ღირებულებით, როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ. ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონელსა და მომსახურებაში გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას, ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას, გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი რეგისტრირებულია საქართველოში და ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საჯალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 29-ე შენიშვნაში.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ფუნქციონალური ვალუტა

ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილი ელემენტები გაზომილია იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ფუნქციონალური ვალუტა ბანკის აქციონერებისათვის არის ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ყველა ღირებულება დამრგვალებულია ათასობით ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გააჩნია იურიდიულად აღსრულებადი უფლება, ურთიერთჩათვალოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს, აქტივი ჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულება.

შემოსავლისა და ხარჯის ურთიერთჩათვლა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში არ ხდება, თუ ეს არ არის სავალდებულო ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და ინდივიდუალურად განმარტებული ბანკის საბუღალტრო პოლიტიკაში.

ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ფინანსური აქტივებისგან მიღებული საპროცენტო სარგებლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით გამოითვლება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (იმ გადახდილი ან მიღებული მოსაკრებლების ჩათვლით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმისა თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, (ან კონტექსტის მიხედვით), უფრო მოკლე ვადაში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

საკომისიო შემოსავლების აღიარება

როდესაც სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიოს

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში სასესხო ვალდებულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების მოქმედების ვადა იწურება სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მაშინ, როდესაც ბანკი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის ყიდვა-გაყიდვა აღიარდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. ჩვეულებრივი შესყიდვა-გაყიდვა წარმოადგენს ფინანსური აქტივების ისეთ შესყიდვა-გაყიდვას, რომელიც საჭიროებს ამ აქტივების მიწოდებას რეგულირებით ან ბაზარზე არსებული შეთანხმებით დადგენილ ვადებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოსვებას (მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) თავდაპირველი აღიარებისას ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აისახება, პირდაპირ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები“, „დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები“, „გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები“ და „სესხები და მოთხოვნები“. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ბანკის ძირითადი ფინანსური აქტივებია ფული და ფულის ექვივალენტები, მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში, გასაყიდად არსებული ინვესტიციები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები და სესხები და მოთხოვნები.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო და ვადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით და საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნებს 90 ან ნაკლებდღიანი თავდაპირველი ვადით, რომელიც არ არის დატვირთული საკონტრაქტო ვალდებულებებით.

მინიმალური სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში

მინიმალური სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს მინიმალურ სარეზერვო დეპოზიტს, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი და ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ გამოიყენება. ამდენად, მინიმალური სავალდებულო რეზერვი ფულსა და ფულის ექვივალენტებში არ ითვლება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისათვის.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ აქტივებს, რომლებიც ან გასაყიდად არის გამოიზნული, ან არ კლასიფიცირდება როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან (გ) მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები.

გასაყიდად არსებული წილობრივი ინვესტიციები, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე და რეალური ღირებულების გაზომვა სარწმუნოდ შეუძლებელია, წარმოდგენილია თვითღირებულებით, გაუფასურების გამოვლენილი დანაკარგების გამოკლებით თითოეული საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს ისეთ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებითა და დაფარვის ფიქსირებული ვადებით, რომელთა ფლობა ბანკს განზრახული აქვს ვადის ბოლომდე. ასეთი ფასიანი ქაღალდების ასახვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდზე დაფუძნებული ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იძულებული იქნება, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები (გამონაკლისი სპეციფიკური გარემოებების გარდა) დაფარვის ვადამდე გაყიდოს ან მოახდინოს მათი რეკლასიფიკაცია, ამას მთელ კატეგორიაზე ექნება გავლენა და საჭირო გახდება მათი გასაყიდად არსებულად რეკლასიფიკაცია. გარდა ამისა, შემდეგი ორი ფინანსური წლის განმავლობაში ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია დაფარვის ვადამდე ფლობილი აქტივის სახით.

სესხები და მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრადი ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება მოქმედ ბაზარზე (მათ შორის, ბანკების მიმართ არსებული მოთხოვნების ნაშთები, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები“. სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით ასახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელზე დარიცხული პროცენტის აღიარება არსებითი სიდიდისა არ იქნებოდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახება, ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივის შემთხვევაში გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას ან გადახდისუუნარობას; ან
- მსესხებლის გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის დაწყების შესაძლებლობას; ან

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად, როგორცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფურად. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ბანკის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაჩინო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოღების შეუძლებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

თვითღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ხარჯი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივების უკუგების მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დისკონტირებული, სამომავლო ფულადი შემოდინებების მიმდინარე ღირებულებას შორის. ასეთი გაუფასურების რეზერვი არ ექვემდებარება გაუქმებას შემდგომ პერიოდებში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით. აღნიშნული არ ეხება სესხებსა და მოთხოვნებს, რომელთა შემთხვევაში საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურება, იგი ჩამოიწერება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. თავდაპირველად ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა აღირიცხება რეზერვის ანგარიშში. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულების ცვლილება აისახება მოგება-ზარალში.

როდესაც გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, მანამდე სხვა სრულ შემოსავალში ასახული ჯამური მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების დანაკარგის ოდენობა შემცირდა და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარ მოვლენას, მანამდე აღიარებული გაუფასურების დანაკარგი აღდგება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ გაუფასურების დღეს ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს ისეთ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა გაუფასურების აღიარების გარეშე.

გასაყიდად არსებული წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თავდაპირველად მოგება-ზარალში აღიარებული გაუფასურების დანაკარგი მოგება-ზარალში არ აღდგება. გაუფასურების დანაკარგის აღიარების შემდგომი ზრდა რეალურ ღირებულებაში აისახება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება „ინვესტიციების გადაფასების რეზერვის“ ჯგუფში.

სესხები და მოთხოვნები, კონტრაქტის შეცვლილი პირობებით

სადაც ეს შესაძლებელია, ბანკი ცდილობს, უზრუნველყოფის დასაკუთრების ნაცვლად, მოახდინოს სესხის რესტრუქტურისა. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება ვადაგადაცილებულად.

ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს, რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

სესხებისა და მოთხოვნების ჩამოწერა

სესხებისა და ავანსების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა ბანკების მიმართ მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და აისახება აღდგენის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ბანკი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივისა და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

მთლიანად ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებას და, მეორე მხრივ, მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მთლიანი მოგება-ზარალის ჯამს შორის აღირიცხება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას, გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), ბანკი ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს გადაცემისას შენარჩუნებული ნაწილისა და აღიარებაშეწყვეტილი ნაწილის რეალურ ღირებულებებს შორის გადაცემის დღის მდგომარეობით. სხვაობა, ერთი მხრივ, აღიარებაშეწყვეტილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებას და, მეორე მხრივ, ამავე ნაწილში მიღებული ანაზღაურებისა და მასზე მიკუთვნებული და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული მთლიანი მოგება-ზარალის ჯამი აღირიცხება მოგება-ზარალის უწყისში. მთლიანი მოგება-ზარალი, რომელიც მანამდე აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში, ნაწილდება აღიარება გაგრძელებულ და აღიარება შეწყვეტილ ნაწილებზე ამ ნაწილების რეალური ღირებულებების პროპორციულად.

ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიკაცია სესხის ან კაპიტალის სახით

ბანკის მიერ გამოშვებული სესხისა და კაპიტალის ინსტრუმენტები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები ან კაპიტალი საკონტრაქტო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულების და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრებებიდან გამომდინარე.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ბანკის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ბანკის მიერ

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის, ბანკების დეპოზიტები, კლიენტების დეპოზიტები და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც გამოიყენება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელად და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის გასანაწილებლად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების (ეს მოიცავს გადახდილ ან მიღებულ საკომისიოებს, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, ასევე ტრანზაქციის ხარჯებსა და სხვა პრემიუმებსა თუ დისკონტებს) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, (ან სადაც მართებულია) უფრო მოკლე ვადაში.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით გამცემი ვალდებულია, განახორციელოს წინასწარ დადგენილი გადახდები მისი მფლობელისათვის გაწეული ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ დადგენილი მოვალე არ ფარავს გადახდის ვალდებულებას ვადის დადგომის შემთხვევაში სავალ ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველ აღიარებას ექვემდებარება რეალური ღირებულებით და, თუ კონტრაქტი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივს არ წარმოადგენს, შემდგომში ფასდება მეტი თანხით შემდეგს შორის:

- კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების თანხა - ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“-ს შესაბამისად; და
- თავდაპირველად აღიარებული ღირებულება, სადაც ეს მართებულია, შემოსავლის აღიარების პოლიტიკის შესაბამისად აღიარებული დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება მეორით იმავე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის, აისახება მოგება-ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ მისი პირობები ითვალისწინებს მოიჯარისათვის არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ბანკი, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარაში გადახდილი თანხების აღიარება ხდება იჯარის პერიოდზე თანაბრად განაწილებული ხარჯის სახით წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით. საიჯარო შეთანხმების საფუძველზე გადახდილი პირობითი საიჯარო თანხების ასახვა ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა მათი გადახდა.

იმ შემთხვევაში, თუ იჯარის გარიგების დასადებად გათვალისწინებულია შეღავათები, იგი აისახება როგორც ვალდებულება. შეღავათებით მისაღები მთლიანი სარგებელი აღირიცხება როგორც იჯარის ხარჯის შემცირება წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა მეთოდი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით.

ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ასევე ადმინისტრაციულ მიზნებში გამოყენებისათვის განკუთვნილი მიწა და შენობა-ნაგებობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს რეალურ ღირებულებას გადაფასების დღეს, გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების დანაკარგები. გადაფასება ხდება რეგულარულად, ისე, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებებისგან, რომელიც თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს რეალური ღირებულების გამოყენებით დადგინდებოდა.

ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალში, მხოლოდ იმ ოდენობით, რომ მან მოახდინოს მანამდე მოგება-ზარალში აღიარებული გადაფასების კლება იმავე აქტივზე. ასეთ შემთხვევაში ზრდა შედის მოგება-ზარალში მანამდე ხარჯად აღიარებული კლების ოდენობით. ამგვარი მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულების კლება აღიარდება მოგება-ზარალში იმ ოდენობით, რომ მან გადააჭარბოს იმავე აქტივის წინა გადაფასებასთან დაკავშირებული, ქონების გადაფასების რეზერვში არსებული ნაშთი.

ძირითადი საშუალებების საწყისი ღირებულება ფასდება მისი შესყიდვის ფაქტიური ხარჯების საფუძველზე, რაც მოიცავს შესყიდვის აუნაზღაურებელ გადასახადებს და საშუალების სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისა და გამოყენების ადგილზე მიტანის სხვა პირდაპირ ხარჯებს. საწყისი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა აისახება ისე, რომ წრფივი მეთოდით ჩამოიწეროს ღირებულება (გარდა მიწისა და მიმდინარე მშენებლობებისა) აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის მანძილზე ნარჩენი ღირებულებების გამოკლებით. საპროგნოზო სასარგებლო მოხმარების პერიოდი, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ ცვლილებათა აღმოსაჩენად, რომელიც პროსპექტიულად გამოთვლილმა სავარაუდო ღირებულებამ განიცადა. ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობები და სხვა უძრავი ქონება	1%-2%
ავეჯი და მოწყობილობები	10%-15%
კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობა	10%-33.33%
სატრანსპორტო საშუალებები	20%-33.33%
იჯარით აღებული ქონების გარემონტება	25%-50%
სხვა	15%

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

ძირითადი საშუალებები ჩამოიწერება გაყიდვისას ან როდესაც არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის უწყვეტი გამოყენებით. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გაყიდვისას ან მისი სასარგებლო მოხმარების ვადის დასრულებისას, გამოითვლება როგორც სხვაობა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი საპროგნოზო ექსპლუატაციის ვადის მიხედვით.

არამატერიალური აქტივები 6.67% - 50%

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს პროსპექტიულად აღრიცხული საპროგნოზო მანგებულებების ცვლილების აღმოჩენის მიზნით. განუსაზღვრელი სასარგებლო მოხმარების ვადის მქონე, ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, და აისახება მოგება-ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ბანკი სისტემატურად განიხილავს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მანგებულებების გამოვლენის მიზნით. ასეთი მანგებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების ხარჯის განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა, ბანკი განსაზღვრავს იმ ფულის გენერირების ერთეულის აღდგენითი ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულის გენერირების ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის გამოვლენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება არის უმეტესი, ერთი მხრივ, რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და, მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. გამოყენებული ღირებულების შეფასებისას ხდება სამომავლო ფულადი ნაკადები მიმდინარე ღირებულებამდე გადასახადამდე დისკონტირდება არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების ბაზრისეულ შეფასებას და აქტივისათვის დამახასიათებელ იმ რისკებს, რომელთა საფუძველზე სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირება არ მომხდარა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენითი ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით. უკანასკნელ შემთხვევაში გაუფასურების დანაკარგები აისახება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება აღდგენადი თანხის შესწორებულ სავარაუდო მოცულობამდე ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა, წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების ხარჯი რომ არ აღიარებულყო. გაუფასურების ხარჯების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯების აღდგენა განიხილება, როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯების ჯამს.

მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებდა ან არსებობდა მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება იმ დროებითი სხვაობების მიხედვით, რომლებიც თავს იჩენს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გამოთვლისას გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზისს შორის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივი, ჩვეულებრივ, აღიარებას ექვემდებარება ყველა გამოქვითვადი დროებითი სხვაობის შემთხვევაში, თუ სავარაუდოდ, იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება, რომელზეც შეიძლება აღნიშნული გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება. ამგვარი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობა გამომდინარეობს სხვა აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისგან ისეთი გარიგების საფუძველზე, რომელიც არ ეხება არც დასაბეგრი მოგებას არც საბალანსო მოგებას.

გადავადებული საგადასახადო აქტივები საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ აღარ არსებობს იმის საფუძველიანი მოლოდინი, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგების საკმარისი ოდენობა, რომელიც საშუალებას მისცემს პირს, აღადგინოს აქტივი მთლიანად ან ნაწილობრივ.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულების დაფარვის ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთისა და კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ძალაში იყო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს იმ საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას ან დაფარვას.

წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადები

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან, რომელთა აღიარება ხდება მოგება-ზარალში ან პირდაპირ კაპიტალში.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ასეთ შემთხვევაში, მიმდინარე და გადავადებული გადასახადები ასევე აისახება შესაბამისად მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან პირდაპირ კაპიტალში.

საოპერაციო გადასახადები

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე (სამართლებრივი ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად, ბანკს სავარაუდოდ მოეთხოვება მათი დაფარვა და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

ანარიცხებად აღიარებული თანხა წარმოადგენს იმ ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და უზუსტობების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ ანარიცხები გამოითვლება ვალდებულების დასაფარად საჭირო ფულადი სახსრების მოძრაობიდან, მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ამავე ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ნაწილობრივი ან სრული ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროა ანარიცხების ფორმირებისათვის, ამოიღება მესამე მხარიდან, მოთხოვნები აისახება აქტივებში, როდესაც გადახდა სარწმუნოა, ხოლო მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ ხდება მათი აღწერა ფინანსურ ანგარიშგებაში, სანამ არ გაჩნდება სახსრების გადინების შესაძლებლობა. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა ნავარაუდო.

უცხოური ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდება ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარება გადაფასებას.

გაცვლითი კურსის სხვაობა ფულად ერთეულებზე აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013	1 იანვარი, 2013
ლარი / 1 აშშ დოლარი	1.8636	1.7363	1.6567
ლარი / 1 ევრო	2.2656	2.3891	2.1825

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, საჭიროებისდამისხედვით. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების გირავნობას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალში შენატანების აღიარება ხდება თვითღირებულებით. ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები, საწარმოთა გაერთიანების გარდა, აკლდება კაპიტალს ყველა დაკავშირებული მოგების გადასახადის გამოკლების შემდეგ.

კაპიტალის რეზერვები

ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კაპიტალში აღრიცხული რეზერვი (სხვა სრული შემოსავალი) მოიცავს ქონების გადაფასების რეზერვს, რომელშიც, თავის მხრივ, შედის მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი.

3. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული განხილვა და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობა ვაღდეულობა, განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვაღდეულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება საწარმოს უწყვეტობის დაშვების პრინციპით. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

ბუღალტრული პოლიტიკების გამოყენების კრიტიკული განხილვა

შემდეგი საკითხები წარმოადგენს კრიტიკული განხილვის საგანს, იმ შეფასებების გარდა (იხილეთ ქვემოთ), რომლებიც დირექტორებმა გააკეთეს ბანკის ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენების პროცესში და რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დირექტორებმა განიხილეს ბანკის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები კაპიტალის შენარჩუნებისა და ლიკვიდობის მოთხოვნების ჭრილში და დაადასტურეს, რომ ბანკს გააჩნია განზრახვა და უნარი, ფლობდეს მათ დაფარვის ვადამდე. 2014 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შესაბამისად შეადგენს 15,864 ათას და 6,352 ათას ლარს. ამ აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

შეფასებების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია მომავალთან და სხვა შეფასების არასარწმუნოების ძირითად წყაროებთან დაკავშირებული უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებენ აქტივებისა და ვაღდეულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება

ბანკის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკის ხელმძღვანელობა სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს არასარწმუნოების მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განხილვას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ბანკი

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებასა და ხელმისაწვდომ მონაცემებზე, კლიენტების წარსულ ქცევაზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებენ ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდის სტატუსის უარყოფით ცვლილებაზე და აგრეთვე ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არარსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ბანკი იყენებს ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ბანკი აკეთებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ შეფასებებს სასესხო პორტფელის გაუფასურებაზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკისათვის ამ ეტაპზე რთულია პროგნოზი იმისა, თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 121,854 ათასი და 81,927 ათასი ლარი, შესაბამისად; ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვი შესაბამისად შეადგინა 1,500 ათასი და 395 ათასი ლარი.

გადაფასებული ღირებულებით ასახული ძირითადი საშუალებები

გარკვეული ძირითადი საშუალებები გადაფასებული ღირებულებით აღირიცხება. ბოლო გადაფასება მოხდა 2014 წლის ოქტომბერში. შემდგომი გადაფასება ამ ეტაპზე იგეგმება 2015 წელს. შეფასების ტექნიკა აღწერილია მე-17 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი

როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ბანკის ხელმძღვანელობა განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს თითოეული წლიური საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენა წარმოადგენს ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანს მსგავს აქტივებთან მიმართებაში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების ტენდენციებს, ფიზიკური მოხმარების პერიოდსა და ცვეთას, აგრეთვე აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს. ჩამოთვლილი პირობებიდან რომელიმე ერთი პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვეთისა და ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირების აუცილებლობა.

გადავადებული საგადასახადო აქტივების ამოღებადობა

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებული არის, რომ სამომავლო პერიოდის განმავლობაში იმავე საგადასახადო იურისდიქციაში ბანკს ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება ისეთი მოცულობით, რაც საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად რეალიზაციისათვის. გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულებამ 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 127 ათასი და 568 ათასი ლარი.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის მიმდინარეობისას ბანკი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს რეალური ღირებულებით. თუ ამგვარი ტრანზაქციების მოქმედი ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს, ეფუძნება თუ არა ტრანზაქციის ფასი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს. ამისათვის დგინდება, თუ როგორ ხდება ფასწარმოქმნა დაუკავშირებელ მხარეებთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების შემთხვევაში და ანალიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია განმარტებულია 26-ე შენიშვნაში.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის სამართაშორისო სტანდარტების (ფასს) მიღება

მიმდინარე წელს ბანკმა მიიღო შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- შესწორებები ფასს 10-ში, ფასს 12-სა და ბასს 27-ში – საინვესტიციო საწარმო
- შესწორებები ბასს 32-ში – ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა
- შესწორებები ბასს 36-ში – აღდგენადი თანხების განმარტება არასაფინანსო აქტივებისათვის
- შესწორებები ბასს 39-ში – წარმოებული ინსტრუმენტების დათმობა და ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტობა
- ფასსიკ 21 – მოსაკრებლები

შესწორებები ბასს 32-ში - ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა. ბასს 32-ის შესწორება განმარტავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კერძოდ, შესწორება გვისხნის, თუ რა იგულისხმება ფრაზებში “ამჟამად გააჩნია ურთიერთჩათვლის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება” და “ერთდროული რეალიზაცია და ანგარიშსწორება”.

აღნიშნული შესწორებები ბანკის ფინანსურ ანგარიშებზე არ მოქმედებს, რადგან ბანკს ურთიერთჩათვლადი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

შესწორება სტანდარტში ბასს 36-ში – ამოღებადი ღირებულების განმარტება არაფინანსური აქტივებისათვის. ბასს 36-ის შესწორებით აქტივის ან ფულის გამომმუშავებელი ერთეულის ამოღებადი ღირებულების განმარტების ვალდებულება შემოიფარგლება იმ პერიოდით, რომლის დროსაც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარება ან გაუქმება. გარდა ამისა, ეს შესწორება აფართოებს და განსაზღვრავს განმარტების იმ მოთხოვნას, რომელიც ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქტივის ან ფულის გამომმუშავებელი ერთეულის ამოღებადი ოდენობა დადგინდა რეალური ღირებულების საფუძველზე გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ახლად დადგენილი განმარტებები მოიცავს რეალურ ღირებულებათა იერარქიას, ძირითად დაშვებებსა და შეფასების ტექნიკას, რაც ფასს 13 “რეალური ღირებულების განსაზღვრა” სტანდარტით გათვალისწინებულ განმარტებებს შეესაბამება.

ეს შესწორებები ეხება მხოლოდ მე-18 შენიშვნაში წარმოდგენილ განმარტებებს.

ფასსიკ 21 – მოსაკრებლები. ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება ხელისუფლების მიერ დაწესებულ ყველა გადახდაზე, გარდა მოგების გადასახადისა, რომელიც ბასს 12-ის კომპეტენციის სფეროა და კანონდარდვებისათვის გათვალისწინებულ ჯარიმებსა და საურავებს. ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების აღიარება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც მავალდებულებელი მოვლენა დამდგარია. ინტერპრეტაცია გვაძლევს განმარტებას იმაზეც, როგორ უნდა განისაზღვროს, უნდა მოხდეს თუ არა ვალდებულების აღიარება პროგრესულად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში თუ სრულად კონკრეტულ დღეს.

მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ბანკის პოლიტიკის ცვლილების გარდა, ინტერპრეტაციას რაიმე ზეგავლენა არ მოუხდენია.

ბანკს ვადამდე არ მიუღია რაიმე სხვა სტანდარტი, შესწორება თუ ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- შესწორება ბასს 19-ში – საპენსიო გეგმა დადგენილი გადახდებით: თანამშრომელთა შენატანები¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წლების ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2011-2013 წლების ციკლი¹;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2012-2014 წლების ციკლი²;
- ფასს 14 – მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები²;
- შესწორებები ბასს 16-სა და ბასს 38-ში – ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება²;
- შესწორებები ბასს 27-ში – წილობრივი მონაწილეობის მეთოდი დამოუკიდებელ ფინანსურ ანგარიშებში²;
- შესწორებები ბასს 16 და ბასს 41 – სოფლის მეურნეობა: ნაყოფიანი მცენარეები²;
- შესწორებები ფასს 11-ში – ერთობლივ საქმიანობაში წილის შესყიდვის აღრიცხვა²;
- შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება შეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში²;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან³;
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები⁴.

¹ ძალაშია 2014 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

² ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

³ ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

⁴ ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გეთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო ღირებულებით ხასიათის ინსტრუმენტი დაემატა ისეთ თემებს, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალდებულო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალდებულო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალდებულო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალდებულო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალდებულო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალდებულო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

- **გაუფასურება.** ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათსას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადად აღრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ბანკის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე. თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

შესწორება ბასს 16-სა და ბასს 38-ში – ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება. ბასს 16-ის შესწორება მეწარმეს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვას შემოსავლის საფუძველზე. ბასს 38-ის შესწორებას შემოაქვს გაბათილებადი ვარაუდი, რომ შემოსავალი არ წარმოადგენს არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის სათანადო საფუძველს. ეს ვარაუდი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაბათილდეს, როდესაც არამატერიალური აქტივი გამოხატულია, როგორც შემოსავლის ზომა ან მაშინ, როდესაც შეიძლება ჩვენება, რომ შემოსავალი და არამატერიალური აქტივისგან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მოხმარება ერთმანეთთან ახლო კორელაციაშია.

ეს შესწორება ძალაში შედის პროსპექტიულად და ვრცელდება 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ პერიოდებზე.

ამჟამად ბანკი ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს ცვეთასა და ამორტიზაციას არიცხავს წრფივი მეთოდით. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წლების ციკლი. ფასს-ების 2010-2012 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 2-ის შესწორება ცვლის “უფლებებით აღჭურვის პირობებისა” და “ბაზრის პირობების” განსაზღვრებას და აზუსტებს “შესრულების პირობისა” და “მომსახურების პირობის” განსაზღვრებას, რომლებიც ამ შესწორების მიღებამდე “უფლებებით აღჭურვის პირობების” ნაწილს წარმოადგენდა.

სააქციო საზოგადოება ხალივ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ პირობითი ანაზღაურება, რომელიც აქტივად ან ვალდებულებად კლასიფიცირდება, უნდა გაიზომოს რეალური ღირებულებით ანგარიშგების დღეს იმის მიუხედავად, არის თუ არა პირობითი ანაზღაურება ფინანსური ინსტრუმენტი ბასს 39 თუ ფასს 9-ის მიხედვით, თუ იგი არაფინანსური აქტივი ან ვალდებულებაა.

ფასს 8 მეწარმე პირს თხოვს, გააკეთოს განმარტება ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ შეფასებებზე საოპერაციო სეგმენტების დაჯგუფების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. იგივე შესწორება განმარტავს, რომ საანგარიშგებო სეგმენტების აქტივების ჯამი მეწარმე პირის აქტივებს მხოლოდ მაშინ უნდა შეუდარდეს, თუ სეგმენტის აქტივები რეგულარულად წარედგინება ძირითადი საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღებ პირს.

ფასს 13-ის შესწორება განმარტავს, რომ ამ სტანდარტის გამოცემა და ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შემდგომი შესწორებები არ უკარგავს პირს იმის შესაძლებლობას, რომ დისკონტირების გარეშე გაზომოს ისეთი მოკლევადიანი მოთხოვნები და გადასახდელები, რომლებსაც საინვოისე თანხაში საპროცენტო განაკვეთი დადგენილი არ აქვს, თუ დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა. ეს შესწორებები ძალაში მყისიერად შესულად ითვლება.

ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორებებით აღმოფხვრილია შეუსაბამოები დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაციის აღრიცხვაში ძირითადი საშუალების ან არამატერიალური აქტივების ერთეულის გადაფასებისას. შესწორებული სტანდარტები განმარტავს, რომ მთლიანი საბალანსო ღირებულება კორექტირდება აქტივის საბალანსო ღირებულების გადაფასების შესაბამისი გზით და რომ დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია არის სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის დაგროვილი ცვეთის დანაკარგების გათვალისწინების შემდეგ.

ბასს 24-ის შესწორება განმარტავს, რომ ანგარიშვალდებული პირის დაკავშირებულ მხარედ განიხილება ისეთი მმართველი პირი, რომელიც ამ ანგარიშვალდებულ პირს მმართველობით მომსახურებას უწევს. შესაბამისად, ანგარიშვალდებულმა პირმა დაკავშირებულ პირთან განხორციელებულ ტრანზაქციებად უნდა ჩათვალოს ის გადახდილი თუ გადასახდელი თანხები, რომლებიც მას დაეკისრა მმართველი პირის მომსახურების მიღების გამო. თუმცა, ამგვარი ანაზღაურების კომპონენტების განმარტების ვალდებულება მას არ აქვს.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2011-2013 წლების ციკლი. ფასს-ების 2011-2013 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ ეს სტანდარტი არ ვრცელდება ერთობლივი საქმიანობის ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ტიპის ერთობლივი საქმიანობის ფორმირების აღრიცხვაზე.

ფასს 13-ის შესწორება განმარტავს, რომ წმინდა პოზიციის საფუძველზე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის რეალური ღირებულების გაზომვისას არ გაითვალისწინება ყველა ის კონტრაქტი, რომელიც ექცევა და, შესაბამისად, აღირიცხება ბასს 39-ის ან ფასს 9-ის მიხედვით მაშინაც კი, თუ ეს კონტრაქტები არ აკმაყოფილებს ბასს 32-ით განსაზღვრულ, ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების განსაზღვრებას.

ბასს 40-ის შესწორება განმარტავს, რომ ბასს 40 და ფასს 3 ერთმანეთს არ გამორიცხავს და ზოგ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ორივე სტანდარტის გამოყენება. ამდენად, საინვესტიციო ქონების შემსყიდველმა პირმა უნდა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ესა თუ ის ქონება ბასს 40-ისეულ საინვესტიციო ქონების განსაზღვრებას და არის თუ არა ეს ტრანზაქცია საწარმოთა გაერთიანება ფასს 3-ის მიხედვით.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინანსები (ბაზრულა)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ფასს-ების წლიური რედაქტირების 2012-2014 წლების ციკლი. ფასს-ების 2012-2014 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 5-ის შესწორება განმარტავს, რომ აქტივის ან გასასხვისებელი ჯგუფის რეკლასიფიცირება გასაყიდად ფლობილი ჯგუფიდან მფლობელთათვის გასანაწილებლად არსებული ჯგუფში ან პირიქით, არ ითვლება რეალიზაციის გეგმის ან მფლობელთათვის განაწილების გეგმის ცვლილებად და რომ უნდა გამოყენებული იქნეს გასხვისების ახალ მეთოდზე მოქმედი კლასიფიკაციის, წარმოდგენისა და გაზომვის მოთხოვნები. გარდა ამისა, ამ შესწორებით, ის აქტივები, რომლებიც არც გასასხვისებელ და არც მფლობელებისათვის გასანაწილებლად არ ითვლება, უნდა ბუღალტრულად ისევე აღირიცხოს, როგორც ის აქტივები, რომლებიც აღარ კლასიფიცირდება გასაყიდად ფლობილად. ეს შესწორებები პროსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ფასს 7-ის შესწორება დამატებით განმარტავს, კვლავაც მონაწილეობს თუ არა მომსახურების კონტრაქტი სხვა პირისათვის გადაცემულ აქტივში ასეთ აქტივებთან დაკავშირებული სავალდებულო განმარტებების მიზნებისათვის. გარდა ამისა, ფასს 7-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც გვიხსნის, რომ არ არის სავალდებულო, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთნათვლის განმარტების მოთხოვნები გათვალისწინებული იქნას მოკლე შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა შუალედური პერიოდისათვის. თუმცა, შესაძლოა საჭირო იყოს ამ განმარტების შეტანა მოკლე შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ბასს 35-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ეს შესწორებები რეტროსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ბასს 19-ის შესწორება განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციები, რომლებიც დაქირავების შემდგომი ბენეფიტების დისკონტირების განაკვეთის დასადგენად გამოიყენება, იმავე ვალუტაში უნდა იქნეს გამოშვებული, რომელშიც ბენეფიტის გადახდა ხდება. ეს შესწორება მოქმედებს შესწორებების თავდაპირველი გამოყენებისას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უადრესი შედარებითი პერიოდის დასაწყისიდან.

ბასს 34-ის შესწორება განმარტავს, რომ ამ სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგანაა წარმოდგენილი, თუმცა, არ არის შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მასში უნდა ჩაერთოს ჯვარედინი მითითებით, შუალედური ფინანსური ანგარიშგებიდან შუალედური ფინანსური ანგარიშგების სხვა ნაწილში, თუ ეს ორივე დოკუმენტი გამოიცემა ერთდროულად და ერთი და იმავე პირობებით.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

5. რეკლასიფიკაცია

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღვნიშნავთ რამდენიმე რეკლასიფიკაციას, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ანგარიშგების წარმოდგენა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიმდინარე წლის ანგარიშგება უკეთ ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას და ბაზარზე დამკვიდრებულ პრაქტიკას. რეკლასიფიკაციას ზეგავლენა არ მოუხდენია 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობისა თუ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშებში მოცემულ თანხებზე.

	წინა ანგარიშებით		რეკლასიფიკაციების თანხა		რეკლასიფიკაციების შემდეგ		აღწერილობა
	1 იანვარი, 2013	31 დეკემბერი, 2013	1 იანვარი, 2013	31 დეკემბერი, 2013	1 იანვარი, 2013	31 დეკემბერი, 2013	
ფული და ნაშთები სებ-ში	3,403	5,227	(3,403)	(5,227)	-	-	ფული და ფულის ექვივალენტები და სავალდებულო მინიმალური რეზერვი სებ-ში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალცალკე აისახა.
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	3,684	24,987	3,684	24,987	
მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-	-	1,192	2,060	1,192	2,060	ბანკების მიმართ არსებული მოთხოვნების ნაშთები 90 დღეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით რეკლასიფიცირდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში.
მოთხოვნები ბანკების მიმართ	6,454	21,868	(1,473)	(21,820)	4,981	48	ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებების ნაშთები დაიყო ბანკების დეპოზიტებად და ნასესხებ სახსრებად და ასევე აისახა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.
ბანკების დეპოზიტები	38,818	68,582	(16,635)	(17,434)	22,183	51,148	
სუბორდინირებული სესხი	-	-	16,635	17,434	16,635	17,434	

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

6. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:		
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
-საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებიდან	9,540	2,171
-საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებიდან, რომლებიც არ არის გაუფასურებული	4,128	7,028
სულ საპროცენტო შემოსავალი	13,668	9,199
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
კლიენტებზე გაცემული სესხები	11,814	8,089
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	1,377	694
ფული და ფულის ექვივალენტები	441	380
მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში	36	36
სულ საპროცენტო შემოსავალი	13,668	9,199
საპროცენტო ხარჯი მოიცავს:		
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე:		
	(4,636)	(3,256)
სულ საპროცენტო ხარჯი	(4,636)	(3,256)
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე:		
ბანკების დეპოზიტები	(268)	(254)
კლიენტების დეპოზიტები	(1,136)	(577)
სუბორდინირებული სესხი	(3,232)	(2,425)
სულ საპროცენტო ხარჯი:	(4,636)	(3,256)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების (რეზერვამდე) / რეზერვის აღდგენამდე	9,032	5,943

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

7. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე მოიცავს:

	<u>კლიენტებზე გაცემული სესხები</u>
1 იანვარი, 2013	415
რეზერვის აღდგენა	(86)
აქტივების ჩამოწერა	(4)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	70
31 დეკემბერი, 2013	395
დამატებით აღიარებული რეზერვები	1,018
აქტივების ჩამოწერა	(1)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	88
31 დეკემბერი, 2014	1,500

8. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე

წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	<u>2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>	<u>2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა	535	351
საკურსო სხვაობა, წმინდა	15	(19)
სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე	550	332

9. საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები მოიცავს:

	<u>2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>	<u>2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>
საკომისიო შემოსავლები:		
ანგარიშსწორების საკომისიო	80	76
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	119	72
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	74	62
შხვა	30	28
სულ საკომისიო შემოსავლები	303	238

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

საკომისიო ხარჯები:		
ანგარიშწორების საკომისიო	(71)	(55)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(11)	(13)
პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციები	(78)	(75)
სხვა	(4)	(1)
	<hr/>	<hr/>
სულ საკომისიო ხარჯები	(164)	(144)

10. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და პრემიები	4,163	3,222
ცვეთა და ამორტიზაცია	501	448
პროფესიული მომსახურება	71	143
საოპერაციო იჯარა	189	101
კომუნიკაციის ხარჯები	104	90
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	85	79
კომუნალური ხარჯები	62	49
სარეკლამო ხარჯები	166	37
სამიწვინებო ხარჯები	29	36
დაცვის ხარჯები	36	29
წარმომადგენლობითი ხარჯები	26	28
საოფისე მარაგები	37	23
ძირითადი საშუალებების შეკეთება	16	16
დაზღვევის ხარჯები	7	4
სხვა ხარჯები	653	460
	<hr/>	<hr/>
სულ საოპერაციო ხარჯები	6,145	4,765

11. მონაცემების გადასახადი

ბანკი მისი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილი საგადასახადო ბაზისს, ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან.

იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის, გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება როგორც დაუბეგრავი, ბანკს შეიძლება გაუჩნდეს გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს. 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებს/დროსა და ასევე გარკვეული სახის აქტივების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ საგადასახადო 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო აქტივები (ვალდებულებები) შეადგენს:

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ანარიცხები სხვა ოპერაციებზე	61	30
სხა ფინანსური ვალდებულებები	4	11
სხვა აქტივები	10	8
კლიენტებზე გაცემული სესხები	(331)	(282)
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(237)	(127)
ზარალის გადატანა მომავალ პერიოდზე	620	928
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	127	568

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, აიხსნება შემდეგნაირად:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მოგება მოგების გადასახადამდე	2,561	1,704
კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთით (15%) მოგების გადასახადის ეფექტი წინა წლებში	384	256
მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი	(2)	-
	22	(14)
მოგების გადასახადის ხარჯი	404	242
მოგების გადასახადის ეფექტი წინა წლებში	(2)	-
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	316	170
მიმდინარე წელს აღიარებული გადავადებული გადასახადის ხარჯი	90	72
მოგების გადასახადის ხარჯი	404	242
	2014	2013

1 იანვარის მდგომარეობით - გადავადებული საგადასახადო აქტივი

მოგების გადასახადის ეფექტი წინა წლებში	568	810
მოგების გადასახადის ხარჯი	2	-
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივის ცვლილება ასახული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	(316)	(170)
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივის ცვლილება ასახული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	(90)	(72)
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივის ცვლილება ასახული სხვა სრულ შემოსავალში	(37)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით - გადავადებული საგადასახადო აქტივი	127	568

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნდა გამოქვითვადი დროებითი სხვაობები, გამოუყენებელი საგადასახადო დანაკარგები და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტები, რომლებთან მიმართებაშიც გადავადებული საგადასახადო აქტივი არ აღიარებულა.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013	1 იანვარი, 2013
ნაღდი ფული	3,889	2,544	1,478
ნაშთები სებ-ში	3,059	623	733
საკორესპონდენტო ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები 90 დღემდე თავდაპირველი დაფარვის ვადით	20,809	21,820	1,473
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	27,757	24,987	3,684

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა დარიცხულ პროცენტს, შესაბამისად, 10 ათასი და 5 ათასი ლარის ოდენობით.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს, შესაბამისად, 3 და 2 ბანკში, ჰქონდა ისეთი ვადიანი დეპოზიტები დაფარვის 90 დღემდე თავდაპირველი ვადით, რომელთა ინდივიდუალური რისკდამოკიდებულება ბანკის კაპიტალის 10%-ს აღემატება.

13. მოთხოვნები ბანკების მიმართ

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013	1 იანვარი, 2013
ვადიანი დეპოზიტები	186	48	4,981
სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ	186	48	4,981

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნებში ბანკების მიმართ წარმოდგენილია ბანკის მიერ VISA საბანკო ოპერაციებისათვის გარანტიების სახით განთავსებული დეპოზიტები.

14. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
კლიენტებზე გაცემული სესხები	121,854	81,927
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(1,500)	(395)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	120,354	81,532

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს დარიცხულ პროცენტს 858 ათასი და 520 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით:

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შინაშენები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
სესხები უზრუნველყოფილი კომბინირებული უზრუნველყოფით	87,819	57,307
სესხები უზრუნველყოფილი უძრავი ქონებით	28,109	18,392
სესხები უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით	2,367	3,548
სესხები უზრუნველყოფილი თავდებობით	1,020	978
სესხები უზრუნველყოფის გარეშე	2,539	1,702
	<u>121,854</u>	<u>81,927</u>
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(1,500)	(395)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>120,354</u>	<u>81,532</u>

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ანალიზი დარგების მიხედვით:		
ვაჭრობა და მომსახურება	67,745	46,159
ფიზიკური პირები	33,183	21,087
ორანსპორტირება	5,306	4,580
მშენებლობა	6,863	4,075
სხვა დარგი	8,757	6,026
	<u>121,854</u>	<u>81,927</u>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(1,500)	(395)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	<u>120,354</u>	<u>81,532</u>

ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
იპოთეკური სესხები	11,612	8,698
სამომხმარებლო სესხები	21,571	12,389
	<u>33,183</u>	<u>21,087</u>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(745)	(77)
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	<u>32,438</u>	<u>21,010</u>

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა გასცა სესხები 7 და 5 მსესხებელზე მთლიანობაში 30,817 ათასი და 28,984 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც ინდივიდუალურად აღემატება ბანკის კაპიტალის 5 პროცენტს.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების დიდი წილი (მთლიანი პორტფელის 99% და 99%) გაიცა საქართველოში მოღვაწე კომპანიებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას ერთ რეგიონში.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა იმ სესხებმა, რომელთა პირობები გადახედულ იქნა, შეადგინა 4,133 ათასი და 991 ათასი ლარი შესაბამისად. სხვაგვარად ეს სესხები ჩაითვლებოდა ვადაგადაცილებულად, ან გაუფასურებულად.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მთლიანი სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვი	წმინდა სესხები	გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ფარდობა მთლიან სესხებთან
ჯგუფურად შეფასებული				
ვადაგადაუცილებელი	47,443	(478)	46,965	1.01%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	3,337	(19)	3,318	0.57%
31-60 დღე	293	(40)	253	13.65%
61-90 დღე	138	(53)	85	38.41%
91-180 დღე	99	(3)	96	3.03%
180 დღეზე მეტი	420	(225)	195	53.57%
სულ ჯგუფურად შეფასებული	51,730	(818)	50,912	1.58%
ინდივიდუალურად შეფასებული				
ვადაგადაუცილებელი	69,079	(641)	68,438	0.93%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,045	(41)	1,004	3.92%
31-60 დღე	-	-	-	-
61-90 დღე	-	-	-	-
91-180 დღე	-	-	-	-
180 დღეზე მეტი	-	-	-	-
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	70,124	(682)	69,442	0.97%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	121,854	(1,500)	120,354	1.23%
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
ჯგუფურად შეფასებული				
ვადაგადაუცილებელი	31,738	(108)	31,630	0.34%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,160	(4)	1,156	0.35%
31-60 დღე	128	(1)	127	0.78%
61-90 დღე	134	-	134	-
91-180 დღე	271	(1)	270	0.37%
180 დღეზე მეტი	321	(1)	320	0.31%
სულ ჯგუფურად შეფასებული	33,752	(115)	33,637	0.34%
ინდივიდუალურად შეფასებული				
ვადაგადაუცილებელი	46,421	(273)	46,148	0.59%
ვადაგადაცილებული:				
30 დღემდე	1,754	(7)	1,747	0.40%
31-60 დღე	-	-	-	-
61-90 დღე	-	-	-	-
91-180 დღე	-	-	-	-
180 დღეზე მეტი	-	-	-	-
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები	48,175	(280)	47,895	0.58%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	81,927	(395)	81,532	0.48%

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ცხრილში მოცემულია კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფასურების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2014			31 დეკემბერი, 2013		
	საბალანსო ღირებულება რეზერვის შექმნამდე	გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება რეზერვის შექმნამდე	გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	საბალანსო ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები რომლის გაუფასურება ინდივიდუალურად განისაზღვრა	31,536	(673)	30,863	20,804	(183)	20,621
კლიენტებზე გაცემული სესხები რომლის გაუფასურება ჯგუფურად განისაზღვრა	85,209	(827)	84,382	57,793	(212)	57,581
სესხები, რომელთა გაუფასურება არ მომხდარა	5,109	-	5,109	3,330	-	3,330
სულ	121,854	(1,500)	120,354	81,927	(395)	81,532

15. გასაყიდად არსებული ინვესტიციები

გასაყიდად არსებული ინვესტიციები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
დსს გაერთიანებული ბილინგ-ცენტრი	54	54
სულ გასაყიდად არსებული ინვესტიციები	54	54

ხელმძღვანელობა სარწმუნოდ ვერ აფასებს დსს „გაერთიანებული საკლირინგო ცენტრის“ აქციებში ინვესტიციის რეალურ ღირებულებას. ეს ინვესტიცია აღირიცხება თვითღირებულებით. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო საზოგადოებას ოპერაციების შესახებ ბოლო ფინანსური ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია, მისი აქციები ბაზარზე არ კოტირდება და ბოლო ვაჭრობის ფასები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

16. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

	31 დეკემბერი, 2014		31 დეკემბერი, 2013	
	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
სახაზინო ვალდებულებები	6.8%-15.2%	15,902	11.3%-15.2%	6,357
გამოკლებული: დისკონტი		(38)		(5)
სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		15,864		6,352

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა, შესაბამისად, 642 ათასი და 268 ათასი ლარი.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

17. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	შენიშნები და სხვა უძრავი ქონება	კომპიუტერები და კავშირგაბმულობის მოწყობილობა	ტრანსპორტი	აგეჯი და მოწყობილობები	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თავდაპირველი ღირებულებით								
1 იანვარი, 2013	7,083	770	247	491	374	145	22	9,132
შესყიდვა	-	312	-	20	22	4	32	390
ორანსფერი	-	50	-	-	-	(50)	-	-
31 დეკემბერი, 2013	7,083	1,132	247	511	396	99	54	9,522
შესყიდვა	854	94	163	55	128	8	33	1,335
რეალიზაცია	-	-	(18)	(6)	-	-	-	(24)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	(22)	(22)
ორანსფერი	-	48	-	-	-	(48)	-	-
ადაფასება	(65)	-	-	-	-	-	-	(65)
31 დეკემბერი, 2014	7,872	1,274	392	560	524	59	65	10,746
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი, 2013	138	509	221	214	168	-	13	1,263
წლის დარიცხვა	99	88	8	74	56	-	11	336
31 დეკემბერი, 2013	237	597	229	288	224	-	24	1,599
წლის დარიცხვა	102	109	15	78	65	-	13	382
გაუქმება რეალიზაციის შედეგად	-	-	(9)	(4)	-	-	-	(13)
გაუქმება ჩამოწერის შედეგად	-	-	-	-	-	-	(22)	(22)
გაუქმება გადაფასების შედეგად	(312)	-	-	-	-	-	-	(312)
31 დეკემბერი, 2014	27	706	235	362	289	-	15	1,634
წმინდა საბალანსო ღირებულება:								
31 დეკემბერი, 2014	7,845	568	157	198	235	59	50	9,112
31 დეკემბერი, 2013	6,846	535	18	223	172	99	30	7,923

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ ჰქონდა დაგირავებული ძირითადი საშუალებები.

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად გაცვეთილმა ძირითადმა საშუალებებმა შეადგინა შესაბამისად 270 ათასი და 157 ათასი ლარი.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

შინაინურ ანგარიშგებასთან არსებული შინაინური (ბაბრეშეშე)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

შენობა-ნაგებობების რეალური ღირებულება განისაზღვრა ბაზრის შედარებითი მეთოდით, რომელიც ეფუძნება მსგავს ქონებაზე უახლოეს წარსულში განხორციელებული ტრანზაქციების ფასებს.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ბანკის საკუთრებაში არსებული მიწისა და შენობა-ნაგებობებისა და რეალური ღირებულების იერარქიის შესახებ, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	რეალური ღირებულების იერარქია	რეალური ღირებულება 2014 წლის 31 დეკემბერს
შენობები რეგიონის მიხედვით:		
- თბილისი – კოსტავას ქუჩა	მე-3 დონე	2,801
- თბილისი – შარტავას ქუჩა	მე-3 დონე	4,192
- ბათუმი – გორგასალის ქუჩა	მე-3 დონე	852
შულ		7,845

ბანკის შენობა-ნაგებობები (გარდა გასაყიდად ფლობილი მიწისა და შენობა-ნაგებობებისა) ისტორიული ღირებულებით რომ გაზომილიყო, მათი საბალანსო ღირებულება, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 7,598 ათასი ლარი.

18. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები
თავდაპირველი ღირებულებით 1 იანვარი, 2013	2,165
შესყიდვა	23
31 დეკემბერი, 2013	2,188
შესყიდვა	334
31 დეკემბერი, 2014	2,522
დაგროვილი ამორტიზაცია:	
1 იანვარი, 2013	891
წლის დარიცხვა	112
31 დეკემბერი, 2013	1,003
წლის დარიცხვა	119
31 დეკემბერი, 2014	1,122
წმინდა საბალანსო ღირებულება:	
31 დეკემბერი, 2014	1,400
31 დეკემბერი, 2013	2,165

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამებსა და ლიცენზიებს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

19. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
სხვა ფინანსური აქტივები		
დებიტორული დავალიანება	143	13
სხვა არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	93	88
ავანსი ძირითადი საშუალებების შესყიდვაზე	44	42
საგადახადო ანგარიშსწორება, მოგების გადასახადის გარდა	1	-
სულ სხვა აქტივები	281	143

20. ბანკების დეპოზიტები

ბანკების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013	1 იანვარი, 2013
დეპოზიტები დამფუძნებელი ბანკიდან	49,580	32,046	12,355
რეზიდენტი კომერციული ბანკების დეპოზიტები	19,658	19,102	7,627
სებ-ისაგან მიღებული სესხები	-	-	2,201
სულ ბანკების დეპოზიტები	69,238	51,148	22,183

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბანკების დეპოზიტებში შესული დარიცხული პროცენტი შეადგენს 1,130 ათას, 795 ათას და 760 ათას ლარს, შესაბამისად.

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრისა და 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბანკების დეპოზიტები (49,580 ათასი, 32,046 ათასი და 12,355 ათასი ლარის ოდენობით – 72%, 63% და 56%) წარმოდგენილი იყო ერთი ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებით, რაც მნიშვნელოვან კონცენტრაციას წარმოადგენს.

21. კლიენტების დეპოზიტები

კლიენტების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
მოთხოვნამდე ანგარიშები	34,032	6,467
ვალიანი დეპოზიტები	13,748	7,280
სულ კლიენტების დეპოზიტები	47,780	13,747

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტები მოიცავს დარიცხულ პროცენტს 341 ათასი და 240 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების დეპოზიტებმა სულ შეადგინა 10,964 ათასი და 9,359 ათასი ლარი (სულ კლიენტთა დეპოზიტების 76% და 68%), შესაბამისად, რომელიც ეკუთვნოდა 10 კლიენტს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კონცენტრაციას.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების დეპოზიტებმა სულ შეადგინა 378 ათასი და 54 ათასი ლარი, შესაბამისად, რომლების უზრუნველყოფის სახით იყო ბანკის მიერ გაცემულ გარანტიებზე.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების დეპოზიტები, 2,540 ათასი და 5,541 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, გამოყენებულ იქნა, როგორც კლიენტებზე გაცემული სესხების უზრუნველყოფა.

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ანალიზი დარგების /კლიენტების ტიპების მიხედვით:		
ფიზიკური პირები	9,350	9,859
ვაჭრობა და მომსახურება	11,984	2,595
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები	9,163	-
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	8,369	-
განათლება	3,606	-
ენერჯეტიკა	3,400	-
მშენებლობა	1,033	1,134
სხვა	875	159
სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ	47,780	13,747

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციების ვადიან დეპოზიტებში შედის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპოზიტი 3,030 ათასი ლარის ოდენობით. გრძელვადიანი რესურსებით საქართველოს ეკონომიკის დახმარების მიზნით, 2014 წლის 7 თებერვლის საქართველოს მთავრობის №7 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს მთავრობა გამოსცემს სახაზინო ვალდებულებებს, რომელთა შექმნა შეუძლიათ კომერციულ ბანკებს წინასწარ დადგენილ ფარგლებში. აღნიშნული ბრძანების თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია, გამოუთხოვადი დეპოზიტები განათავსოს სახაზინო ვალდებულებების შემსყიდველ კომერციულ ბანკში იმავე ოდენობითა და ვადიანობით. ამგვარ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 1%-ით მეტია სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთზე. როგორც მე-16 შენიშვნაშია განმარტებული, 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ბანკმა შეისყიდა აღნიშნული სახაზინო ვალდებულებები და მათ მიანიჭა დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების კატეგორია.

22. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
სხვა ფინანსური ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	164	168
სხვა არაფინანსური ვალდებულებები:		
თანამშრომელთა ანაზღაურების ანარიცხები	407	199
გარანტიების ანარიცხები	6	3
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა	5	6
სულ სხვა ვალდებულებები	582	376

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

მოდრალები სხვა ოპერაციების ანარიცხების კუთხით იყო შემდეგი:

	გარანტიების ანარიცხები
1 იანვარი, 2013	15
ანარიცხების აღდგენა	(12)
31 დეკემბერი, 2013	3
აღიარებული დამატებითი ანარიცხები	3
31 დეკემბერი, 2014	<u>6</u>

23. სუბორდინირებული სესხი

სუბორდინირებული სესხი მოიცავს:

	ვალუტა	დაფარვის ვადა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013	1 იანვარი, 2013
დსს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" აშშ დოლარი		2020	7%	7%	18,712	17,434	16,635
სულ სუბორდინირებული სესხი					<u>18,712</u>	<u>17,434</u>	<u>16,635</u>

ბანკის გაკორტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, ეს სესხი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის დავალიანების დაფარვის შემდეგ.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრისა და 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სუბორდინირებულ სესხში შედის დარიცხული პროცენტი, შესაბამისად, 76 ათასი, 71 ათასი და 68 ათასი ლარის ოდენობით.

24. სააქციო კაპიტალი

2013 წლის 14 მაისს დამფუძნებელმა კომპანიამ სს „ხალიკ ბანკი“ 17,000 ათასი ლარით გაზარდა ბანკის სააქციო კაპიტალი.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის განცხადებული და გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 48,000 ჩვეულებრივი აქციისაგან, შესაბამისად, თითოეული ნომინალური ღირებულებით 1,000 ლარის ოდენობით. 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ გამოცემული სააქციო კაპიტალი სრულად იქნა გადახდილი.

25. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს არასაბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბანკი არასაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც საბალანსო ოპერაციებში იყენებს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის პირობით ვალდებულებებზე ანარიცხები შეადგენდა შესაბამისად 6 ათას და 3 ათას ლარს, შესაბამისად.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობითი ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
პირობითი ვალდებულებები და საკრედიტო ვალდებულებები:		
გაცემული გარანტიები და მსგავსი ვალდებულებები	3,887	860
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	12,432	7,778
სულ პირობითი და საკრედიტო ვალდებულებები	16,319	8,638

საკრედიტო ხაზის ფარგლებში კლიენტისათვის სესხის გაცემას ბანკი ამტკიცებს ინდივიდუალურად, ყოველ თითოეულ შემთხვევაში. სესხის გაცემა დამოკიდებულია მსესხებლის ფინანსურ მანვენებლებზე, სესხის მომსახურებასა და სხვა პირობებზე.

კაპიტალური ვალდებულებები – 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა არსებითი კაპიტალური ვალდებულებები.

ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე – 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა დიდი მოცულობის სალიზინგო ვალდებულებები.

სასამართლო დავები – დროდადრო ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირებისას, ჩნდება კლიენტებისა და კონტრაგენტების მოთხოვნები ბანკის მიმართ. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და ამგვარად ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს შესაბამისი ზარალის ანარიცხს.

გადასახადები – საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბანკის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ბანკს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ასეთი უზუსტობა შეიძლება უკავშირდებოდეს კლიენტებზე გაცემული სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების დანაკარგების რეზერვისა და რეზერვის აღდგენაში დროებითი სხვაობების შეფასებას და დასაბუგრი მოგების შემცირებას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ამგვარი უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს ფინანსური ინსტრუმენტების/წარმოებულების საგადასახადო დამუშავებითა და საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მიზნებისათვის ტრანზაქციების საბაზრო ფასის დადგენით. მან შეიძლება ასევე თავი იჩინოს დროებით საგადასახადო სხვაობებში, რომლებიც სესხის გაუფასურების რეზერვის გამო წარმოიქმნა, ხოლო მოგების საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება საგადასახადო ბაზისის არასაკმარის დეკლარირებად ჩათვალონ. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ დაარიცხეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი ყველა გადასახადი და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა 2014 წლის 1 იანვარს შეიცვალა. მასში გაჩნდა ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის წარდგენის ახალი მოთხოვნები. ახალი ნორმატივებით საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა, გარკვეულ ტრანზაქციებს დააკისროს დამატებითი საგადასახადო

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრებზე)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ვალდებულებები. ასეთი ტრანზაქციები, სხვათა რიგში, მოიცავს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ ორგანომ ჩათვალა, რომ ტრანზაქციის ფასი საბაზრო გარიგებით არ დადგენილა. შეუძლებელია იმ ზეგავლენის ზუსტად დადგენა, რასაც საგადასახადო ორგანოების მხრიდან ბანკის საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების პოზიციების ეჭვქვეშ დაყენება გამოიწვევს.

საოპერაციო გარემო – ბანკის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. ქვეყნის საქმიან გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები ხშირად იცვლება, რამაც შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს ბანკის აქტივები პოლიტიკური და ბიზნეს გარემოს შესაძლო უარყოფითი ცვლილების გამო.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც ნაკლებად არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პილიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. როგორც წარსულში ხდებოდა, რეალურ, ან მოსალოდნელ ფინანსურ პრობლემებს, ან განვითარებად ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების ზრდას შეეძლო უარყოფითად ემოქმედა საქართველოში საინვესტიციო კლიმატზე და ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე.

შედეგად, წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, საგალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, და სხვა კანონიერი და ფისკალური დაბრკოლებები სირთულეებს უქმნის საქართველოში ამჟამად მომუშავე საწარმოებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი დონისიბების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

2014 წელს დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკა მშფოთვარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების არეალში აღმოჩნდა. ამან საქართველოს ეკონომიკაზეც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია.

საგალუტო ბაზარი არასტაბილური იყო და ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუფასურდა.

საქართველოში ეკონომიკური ვითარების სტაბილიზება დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობასა და დსთ-ის სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ ძალისხმევისა და მოვლენების შედეგის პროგნოზირება ამჟამად რთულია.

26. ბარბეშები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, ბასს 24 „გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან“ განმარტებით, არის:

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად – ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ბანკს ან კონტროლდებიან ბანკის მხრიდან ან არიან ბანკის ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს დამფუძნებლებს, შვილობილ სტრუქტურებსა და პარალელურ სტრუქტურებს), რომელთაც გააჩნიათ წილი ბანკში, რაც მათ აძლევს ამ პირზე მნიშვნელოვან ზეგავლენას; და რომლებიც ბანკზე ახორციელებენ ერთობლივ კონტროლს.
- (ბ) ბანკის ან მისი დამფუძნებლის უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები.
- (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში მოხსენიებულ პირთა უახლოესი ოჯახის წევრები.
- (დ) მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ (ბ) ან (გ) პუნქტში მოხსენიებულ პირთა მიერ კონტროლირებად, ერთობლივად კონტროლირებად ან ამგვარ პირთა მნიშვნელოვანი

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

ზეგაგლენის ქვეშ მყოფ პირებს ან ისეთ პირებს, რომლებშიც ხმის უფლებათა დიდი ნაწილი ეკუთვნით ამგვარ ფიზიკურ პირებს.

თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ბანკსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ:

	31 დეკემბერი, 2014		31 დეკემბერი, 2013		1 იანვარი, 2013	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
ფული და ფულის ექვივალენტები	101	27,757	47	24,987	34	3,684
- დამფუძნებელი	101		47		34	
კლიენტებზე გაცემული სესხები, სულ	945	120,354	71	81,532	130	44,966
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	415		71		130	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	530		-		-	
ბანკების დეპოზიტები	49,580	69,238	32,046	51,148	12,355	22,183
- დამფუძნებელი	49,580		32,046		12,355	
კლიენტების დეპოზიტები	493	47,780	127	13,747	53	8,325
- ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	115		40		15	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	378		87		38	
სუბორდინირებული სესხები	18,712	18,712	17,434	17,434	16,635	16,635
- დამფუძნებელი	18,712		17,434		16,635	

ღირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება:	727	4,163	592	3,222
- თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება	727		592	

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო შემოსავალი	26	13,668	15	9,199
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	19		15	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	7			
საპროცენტო ხარჯი	3,240	4,636	2,427	3,256
- დამფუძნებელი	3,232		2,424	

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	1	-		
- სხვა დაკავშირებული მხარეები	7	3		
საოპერაციო ხარჯები	736	6,145	600	4,765
- ბანკის ან დამფუძნებლის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	736		600	

27. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება განიმარტება ფასს 7 „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები“ და ფასს 13 „რეალური ღირებულების გაზომვა“ შესაბამისად. ამ უკანასკნელის თანახმად, რეალური ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება განსაზღვრულ იქნა ბანკის მიერ ბაზარზე არსებული ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიების გამოყენებით. თუმცა აღნიშნული მსჯელობას საჭიროებს ბაზარზე არსებული მონაცემების ინტერპრეტაციისა და შეფასებული რეალური ღირებულების განსაზღვრავად. საქართველო განაგრძობს განვითარებადი ბაზრის ზოგიერთი მახასიათებლის ჩვენებას და ეკონომიკური პირობები განაგრძობენ ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობის შემცირებას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოქვეყნებული იყოს ან ასახავდეს შესუსტებულ გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდნენ ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა ბაზარზე არსებული ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელთა რეალური ღირებულება საბალანსო ღირებულებასთანაა მიახლოებული

მოკლევადიანი (3 თვეზე ნაკლები) ფინანსური აქტივები და ვალდებულებების შემთხვევაში იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია რეალურ ღირებულებასთან. ეს დაშვება აგრეთვე ვრცელდება მოთხოვნამდე ანაზრებზე და მიმდინარე ანგარიშებზე, რომელთა დაფარვის ვადა განსაზღვრული არ არის.

ფული და ფულის ექვივალენტები, მინიმალური სავალდებულო რეზერვი სებ-ში, მოთხოვნები ბანკების მიმართ, ბანკების დეპოზიტები და კლიენტების დეპოზიტები

ფულისა და ფულის ექვივალენტებისა და სებ-ში მინიმალური სავალდებულო რეზერვების რეალური ღირებულება ფასდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე სესხების საბაზრო განაკვეთების საფუძველზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ბალანსში მათი გატარების დღეს.

სესხები და მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით - შეფასებული რეალური ღირებულება იმ ინსტრუმენტებზე რომლებსაც ფიქსირებული განაკვეთი და დაგენილი ვადა აქვთ, შეფასდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების, დისკონტირების საფუძველზე იმ მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახალი ინსტრუმენტებისთვისაა მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი ვადით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტაზე, ვადაზე და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები - შეფასებული რეალური ღირებულება იმ ინსტრუმენტებზე რომლებსაც ფიქსირებული განაკვეთი და დაგენილი ვადა აქვთ, შეფასდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების, დისკონტირების საფუძველზე იმ მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახალი ინსტრუმენტებისთვისაა მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი ვადით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტაზე, ვადაზე და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით – შეფასებული რეალური ღირებულება იმ ინსტრუმენტებზე რომლებსაც ფიქსირებული განაკვეთი და დაგენილი ვადა აქვთ, შეფასდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების, დისკონტირების საფუძველზე იმ მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახალი ინსტრუმენტებისთვისაა მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი ვადით დისკონტირებული განაკვეთები რომლებიც გამოყენებული იყო, შეესაბამება ბანკის საკრედიტო რისკს და ასევე დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტასა და ვადაზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ვალდებულებებისათვის ამორტიზირებული ღირებულებებითა და ცვალებადი განაკვეთით, საბალანსო ღირებულება შეიძლება ჩაითვალოს რეალურ ღირებულებად. კლიენტების ვადიანი ანაბრები 2014 წელს განთავსდა საბაზრო პირობებით. ხელმძღვანელობის აზრით, საანგარიშო დღეს მათი ამორტიზირებული ღირებულება დაახლოებით რეალური ღირებულების ტოლია.

ისეთი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეგულარულად არ აისახება რეალური ღირებულებით (და რომელთა მიმართ არსებობს რეალური ღირებულების განმარტების მოთხოვნა).

ქვემოთ მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება და შედარებულია მათ შესაბამის საბალანსო ღირებულებას, რომლებიც ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაშია წარმოდგენილი:

	2014 წლის 31 დეკემბერი		2013 წლის 31 დეკემბერი		2013 წლის 1 იანვარი	
	საბალანსო	რეალური	საბალანსო	რეალური	საბალანსო	რეალური
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფარგამდე ფლობილი ინვესტიციები	120,354	122,951	81,532	82,805	44,966	44,966
ბანკების დეპოზიტები	15,864	16,436	6,352	6,883	6,379	6,379
სუბორდინირებული სესხი	69,238	67,316	51,148	51,079	22,183	22,183
	18,712	17,914	17,434	17,366	16,635	16,635

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

შინაინჟინერინგ ანბარინგბასთან არსებული შინიშნები (ბაბრბელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

28. კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური განხილავს აქციონერების უკუგება. ბანკის ხელმძღვანელობასა და აქციონერებს განზრახული აქვთ ბანკის შემდგომი განვითარება და ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საწარმოს გაგრძელების დაშვება ბანკს შეესაბამება, ვინაიდან საკმარისი კაპიტალის ადეკვატურობისა და ისტორიული გამოცდილებისა რომ მოკლევადიანი ვალდებულებები რეფინანსდება ყოველდღიური აქტივობიდან.

აქციონერთა საბჭო კაპიტალის სტრუქტურას წელიწადში ერთხელ განიხილავს. საბჭო ითვალისწინებს კაპიტალის ღირებულებას და თითოეული კაპიტალის კლასთან დაკავშირებულ რისკს. დირექტორთა საბჭოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ბანკი საერთო კაპიტალის სტრუქტურას აბალანსებს დივიდენდების გადახდით, ახალი აქციების გამოშვებითა და ახალი სასესხო ვალდებულებების გაცემით ან არსებული სესხების დაფარვით.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა სხვა ღონისძიებებთან ერთად მონიტორინგს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კოეფიციენტებზე დაყრდნობით.

სესხების მიერ დადგენილი მიმდინარე კაპიტალით ბანკები ვალდებული არიან : ა) ფლობდნენ სააქციო კაპიტალის მინიმალურ ღირებულებას - 12,000,000 ლარი; ბ) შეინარჩუნონ სახედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი („სახედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი“) დადგენილი 12% ან მეტი და გ) შეინარჩუნონ პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი) დადგენილი 8% ან მეტი.

2014 წლის ივნისიდან მოყოლებული, ზემოთ ნახსენები კოეფიციენტების გარდა, ბანკები ვალდებული არიან, გამოითვალონ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2013 წლის 28 ოქტომბრის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომელიც ითხოვს, რომ ბანკმა შეინარჩუნოს (ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი სულ მცირე 7%-ზე, (ბ) პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი სულ მცირე 8.5%-ზე და, (გ) სახედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი სულ მცირე 10.5%-ზე.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრეგება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ბანკის საზედამხედველო კაპიტალი, კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების მიხედვით მომზადებული ანგარიშის თანახმად:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
სააქციო კაპიტალი	48,000	48,000
დაგროვილი დეფიციტი	(7,467)	(8,091)
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები	(1,400)	(1,185)
პირველადი კაპიტალი	39,133	38,724
მოგება პერიოდისათვის	1,844	805
საერთო რეზერვები (მაქსიმუმ საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%)	2,348	1,593
სუბორდინირებული სესხი (პირველადი კაპიტალის 50%-მდე)	18,636	17,363
მეორადი კაპიტალი	22,828	19,761
სულ საზედამხედველო კაპიტალი	61,961	58,485
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	225,289	157,063
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	17.37%	24.66%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	27.50%	37.24%

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისათვის საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშების მიზნებისთვის ბანკმა გაითვალისწინა მიღებული სუბორდინირებული დეპოზიტი, რომელიც შეზღუდულია პირველადი კაპიტალის 50%-მდე. ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ ვალდებულებების გადახდა სუბორდინირებულია ბანკის ყველა სხვა კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულებების გადახდასთან.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალის კოეფიციენტები ახალი მოთხოვნების შესაბამისად წარმოადგენს:

ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	17.13%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	17.13%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	26.01%

29. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს

ბანკი აღიარებს, რომ რისკის ეფექტური მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ბანკი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიაღებება ფინანსური ზარალი.

საკრედიტო რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დაწესებულ ფარგლებში. რისკის მართვის განყოფილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკრედიტო რისკის მართვასა და კონტროლში. ეს განყოფილება პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის გამოვლენასა და შეფასებაზე, კონტროლის განხორციელებასა და მონიტორინგზე. რისკის მართვის განყოფილება პირდაპირ მონაწილეობს საკრედიტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შიდა წესების, რეგულაციებისა და საკრედიტო პროგრამების განხილვაში. ამასთან ერთად, განყოფილება ბანკს აწვდის დამოუკიდებელ რეკომენდაციებს საკრედიტო რისკის შესამცირებლად, ახორციელებს საკრედიტო რისკის კონტროლსა და მონიტორინგს, ხელმძღვანელობს უმზადებს შესაბამის მოხსენებებს და უზრუნველყოფს დაკრედიტების პროცესის შესაბამისობას გარე კანონებთან/წესებთან ისევე, როგორც შიდა მოთხოვნებსა და პროცედურებთან. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს რისკის მოცულობის ლიმიტების დაწესებით ერთ მსესხებელზე/კონტრაგენტზე ან მსესხებელთა ჯგუფზე და დარგობრივ (გეოგრაფიულ) სეგმენტზე. საკრედიტო რისკის კონცენტრაციის ზღვარი დარგების მიხედვით მტკიცდება და კონტროლდება აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ. საკრედიტო რისკის ზღვარს საკრედიტო პროგრამებთან მიმართებაში (მცირე და საშუალო ზომის საწარმოები) დირექტორთა საბჭო ამტკიცებს. რისკდამოკიდებულება თითოეულ მსესხებელთან, მოიცავს საბაღანსო და არასაბაღანსო რისკდამოკიდებულებას, რომელიც განიხილება საკრედიტო კომიტეტისა და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტის მიერ. რეალური რისკდამოკიდებულება ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

სადაც ეს მართებულია, გარანტიების გაცემის შემთხვევაში, ბანკი იღებს უზრუნველყოფასა და კორპორაციულ და პირად გარანტიებს.

საკრედიტო ვალდებულება წარმოადგენს გარანტიებს ან აკრედიტივებს. არასაბაღანსო ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განიშარტება, როგორც დანაკარგების ალბათობა, გამომდინარე კონტრაგენტის უუნარობიდან, შეასრულოს სახელშეკრულებო პირობები. რაც შეეხება საკრედიტო ვალდებულებების საკრედიტო რისკს, ბანკი პოტენციურად დგას მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ოდენობის თანხის დაკარგვის საშიშროების წინაშე. თუმცა, დანაკარგის შესაძლო ოდენობა ნაკლებია მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებზე, რადგან კრედიტის გაზრდის ვალდებულებების უმეტესობა არის პირობითი, გამომდინარე კლიენტების მიერ სპეციფიური საკრედიტო მოთხოვნების დაცვიდან. ბანკი აკონტროლებს არასაბაღანსო საკრედიტო ვალდებულებების ვადიანობას, რადგან გრძელვადიან ვალდებულებებს ძირითადად აქვთ უფრო დიდი საკრედიტო რისკი, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში)

საკრედიტო რისკის შეფასება

მსესხებლების მიმართ საკრედიტო რისკდამოკიდებულების შესაფასებლად ბანკმა შეიმუშავა ფასს-ების შესაბამისი მეთოდოლოგია.

ბანკი სესხების მთლიან პორტფელს ჰყოფს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო მსესხებლებად. ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება მსესხებლები, რომელთა რისკდამოკიდებულება 500,000 აშშ დოლარს აღემატება. ასეთი მსესხებლების დეფოლტის ალბათობა ფასდება სპეციფიური მეთოდოლოგიის მიხედვით. გაუფასურების ნიშნების არარსებობისას ინდივიდუალურად შეფასებული სესხი გაიცემა იმ განაკვეთით, რომელიც ეფუძნება მსესხებელთა იმავე კატეგორიის კოლექტიურ შეფასებას.

ინდივიდუალური შეფასება

იმის ობიექტური მტკიცებულების დასადგენად, გასწია თუ არა ბანკმა გაუფასურების დანაკარგები, გამოიყენება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ინფორმაცია მსესხებლის ლიკვიდობის, გადახდისუნარიანობისა და ბიზნესისა და ფინანსური რისკდამოკიდებულების, ასევე მსგავსი ფინანსური აქტივების გადახდისუნარიანობის დონეებისა და ტენდენციების, მოწოდებული უზრუნველყოფის (უძრავი ქონებისა და დეპოზიტების) რეალური ღირებულების შესახებ. ეს და სხვა ფაქტორები, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე ერთად აღებული, წარმოადგენს იმის მნიშვნელოვან ობიექტურ მტკიცებულებას, რომ ფინანსურ აქტივს ან ფინანსური აქტივების ჯგუფს გაუფასურების დანაკარგი დაერიცხა.

მსესხებლის ანალიზზე დაყრდნობით, საკრედიტო რისკის მართვის განყოფილება მას რეიტინგს ანიჭებს და მეთოდოლოგიის შესაბამისად ადგენს დეფოლტის ალბათობას.

ბანკი აფასებს უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას და რეზერვების გათვლის მიზნით, ადგენს სარეალიზაციო ღირებულებას უზრუნველყოფის სხვადასხვა ტიპზე მორგებული რამდენიმე მოდელით. უძრავი ქონებისა და მოძრავი ქონების სარეალიზაციო ღირებულება შემდეგ დისკონტირდება, შესაბამისად, 0.7 და 0.5 დისკონტირების განაკვეთით.

დეფოლტის ქვეშ მყოფი რისკდამოკიდებულების რისკი მცირდება დისკონტირებული უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულებით.

პორტფელის ჯგუფური შეფასების მეთოდოლოგია

პორტფელის ჯგუფური შეფასება ხდება მიგრაციის მატრიცების გამოყენებით. პორტფელი იყოფა სეგმენტებად: კორპორაციული, მცირე და საშუალო საწარმოები და საცალო. თითოეულ სეგმენტზე დაკვირვების პერიოდი განისაზღვრა 2013 წლის დეკემბრიდან 1 წლით. დაკვირვების პერიოდის განმავლობაში, ბანკმა შეიმუშავა ერთოვანი მატრიცები თითოეული სესხის თვის ბოლოს მდგომარეობისა და რისკდამოკიდებულების მეშვეობით. პორტფელის ზრდის ეფექტის გამორიცხვის მიზნით, 2013 წლის დეკემბრის შემდგომ გაცემული სესხები სტატისტიკაში არ შევიდა.

მიგრაციის მატრიცის გამოყენებით, თითოეული სეგმენტისათვის მოხდა დეფოლტის ალბათობის გამოთვლა. დეფოლტი განისაზღვრა, როგორც ყოველ სეგმენტში 60 დღიანი ვადაგადაცილება. დეფოლტის მდგომარეობაში მყოფი რისკდამოკიდებულება მცირდება სესხის ამოღებადი თანხით, რომელიც განისაზღვრა უზრუნველყოფად გამოყენებული ქონების დისკონტირებული სარეალიზაციო ღირებულების საფუძველზე.

ქართული ლარის გაუფასურების ზეგავლენა სესხზე დანაკარგის რეზერვის შექმნაზე

საკრედიტო პორტფელში ეროვნული ვალუტის დევალვაციით გამოწვეული დანაკარგის აღიარების მიზნით ასევე გაანალიზდა საცალო და მცირე-საშუალო საწარმოთა სეგმენტებზე აშშ დოლარში გაცემული სესხები. აშშ დოლარის მიმართ ქართული ლარის 25%-იანი გაუფასურების დაშვებით, მოხდა სესხის/შემოსავალთან კოეფიციენტების სტრუქტურის

სააქციო საზოგადოება ხალიკ ბანკი საქართველო

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული ფინიშნები (ბაზრელება)
 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ათასობით ლარში)

